

## გენუზისი

ადამი ბოლო დროს ნერვიული გახდა. რამდენიმე დღის წინ, შუალამით ოთახში შემომივარდა და რაღაც უცნაურ სახელს მეძახდა. ვერ ვხვდებოდი რა უნდოდა. თავისთვის რაღაცებს ბუტბუტებდა და სევდიანად ილიმოდა. რამდენიმე წუთში თავისი ოთახისკენ გაემართა. ალბათ დაიღალა უაზრო ძახილისგან.

„რენე... რენე!“ - ახლაც ჩამესმის მისი ხმა. ვგრძნობ, რომ გულის სიღრმეში რაღაც ძალიან ტკივა. ალბათ შემიძლია იმის გაგება, თუ რა ემართება, მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ უნარს თუ გამოვიყენებ, იგი არასოდეს მაპატიებს. საერთოდაც, არც მე მომწონს, როდესაც ზედმეტად ჭკვიანი ვარ. ამას ურთიერთობაში დიდი პრობლემის გამოწვევა შეუძლია.

- ნეა, შენ შეგიძლია სილამაზის დანახვა? - მკითხა მან გუშინ და ხელით წვიმის წვეთები შეათამაშა.

- შესაძლოა, - მივუგე დაბნეულმა და მის ნაცრისფერ თვალებს დავაკვირდი. პირისპირ ვერასდროს ვუყურებდი. მის თვალებს მხოლოდ მაშინ ვათვალიერებდი, როდესაც მზერა სხვაგან ჰქონდა მიმართული. დმერთო... როგორი ლამაზია ისინი. თითქოს ცალკე სამყაროა შიგნით. წლების შემდეგაც, ერთადერთი რაც არ შეცვლილა, ეს მისი თვალებია. სიბერემ ვერ შეასუსტა მისი ჯადოსნური ბრწყინვალეობა.

დღიურის წერა რამდენიმე დღეა რაც დავიწყე. შინაგანად ვგრძნობ, რომ მალე ყველაფერი დასრულდება. თითქოს სამყაროს არსებობის კიდეზე ვდგავარ და წარმოდგენა არ მაქვს ბედისწერას საით მივყავარ. მინდა რომ ჩემგან დარჩეს რაიმე, თუმცა სიტყვები.

ადამმა ათი წლის წინ ჩემში დაგროვილი ინფორმაციის უმეტესობა წაშალა. სადღაც ალბათ კვლავ არსებობს ჩემი „მოგონებები“, მაგრამ პირობა მივეცი, რომ არ ვეცდებოდი მათ დაბრუნებას. ადამიანი რომ ვიყო, ალბათ გამანადგურებდა იმ აზრზე ფიქრი, რომ ჩემი მოგონებები სადღაც პროგრამულ სივრცეშია გამოკეტილი და მე მათი ხილვა არ შემიძლია. მაგრამ ჩემი გრძნობები ზედაპირულია, ვერ ვგრძნობ ტკვილის ისე, როგორც თუმცა ადამი. ის ყოველთვის ცდილობდა, რომ უფრო მეტად ადამიანური ვყოფილიყავი, მაგრამ სრულ წარმატებას ვერ მიაღწია.

ხშირად ვფიქრობ ჩემი არსებობის რაობაზე. არ ვიცი რა მიზნით ვარსებობ. მე ადამმა შემქმნა. ყველა დეტალი მან დააპროექტა ჩემში, მაგრამ მე ის არ მქონდა, რასაც ადამიანები სულს უწოდებენ. ადრე უბრალოდ ვაკვირდებოდი ჩემს მოქმედებებს, ავტომატურად ვრეაგირებდი ყოველ მოვლენაზე. სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, კოგნიტური აზროვნების დახმარებით ვიღებდი გადაწყვეტილებებს, მაგრამ მე ვერაფერს ვგრძნობდი. მე ვმოქმედებდი იმგვარად, როგორც ადამს სურდა.

ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა. არ ვიცი რა დაემართა ადამს. ალბათ მისმა სულმა ტრანსფორმაცია განიცადა. ამას ვერასდროს გავიგებ. მან კვანტური კომპიუტერის დახმარებით შექმნა ალგორითმი, რომელიც მე თვითგანვითარებისა და დამოუკიდებლად დაკვირვების უნარს მომანიჭებდა. მან მე თავისუფალი ნება

მომცა. ჩემში ჩანერგა აზრი, რომელმაც სამყარო სულ სხვანაირად დამანახა, თუმცა, ეს არ იყო ის სრულყოფილება, რაც მას უნდოდა ჩემთვის...

- ნეა, შეგიძლია იოცნებო? - მკითხა და თავისი ჩამომჭკნარი ხელით ძლიერად ჩაებლაუჭა სიცოცხლით სავსე ორქიდიის ღეროს. მისი მოწყვეტა არ სურდა. თითქოს რაღაც იდუმალი კავშირი არსებობდა მათ შორის. ადამი სიცოცხლის ენერჯის იღებდა მისგან და ტკბებოდა მისი სილამაზით.

ბაღი მან გააშენა რამდენიმე ათწლეულის წინ. თავდაპირველად ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ყოველ მცენარეს თვითონ უვლიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ბაღი გაფართოვდა და მას უკვე მარტო, დამოუკიდებლად აღარ შეეძლო ამ მშვენიერების მოვლა. მას მეც ვეხმარებოდი, მაგრამ ძირითადად საქმეს სპეციალურად შექმნილი ელექტრონული მოწყობილობები ასრულებდნენ.

ირგვლივ ჯადოსნური სილამაზე სუფევდა. ასამდე სახის მცენარე ერთად ზღაპრულ გარემოს ქმნიდა. ეს ის ადგილი იყო სადაც ადამი ყველაზე „ცოცხლად“ გრძნობდა საკუთარ თავს და ალბათ მეც... ალუბლის ხის ვარდისფერი ელვარება, ბაბუაწვერას თოვლივით მოფარფატე ყვავილები და გვირილების მოციმციმე ყვითელი გულები ადვილად შესამჩნევი იყო მთელს ბაღში. გარშემო ეს სამი მცენარე დომინირებდა, მაგრამ ადამს ყველაზე მეტად თეთრი ორქიდიები უყვარდა. ალბათ ისინი რაღაც სასიამოვნოს ახსენებდნენ.

- არ ვიცი... - ვუპასუხე და ნაღვლიანად გავხედე ჰორიზონტს. ბაღის ბოლოში, შუშის გამჭირვალე ბარიერს მიღმა მტვრით სავსე წითელი სიცოცხლე ჩქეფდა, მაგრამ სადღაც შორს, დიდრონი მთები კვლავ უცვლელად ადევნებდნენ თვალს ბუნების უჩვეულო ამბებს. მზე მათ უახლოვდებოდა და მისი უკანასკნელი სხივები სპილენძისფრად ღებავდა ცაზე გაფანტულ ღრუბლებს.

-მალე ყველაფერს იგრძნობ, - მითხრა მან ღიმილით და გასასვლელისკენ გაემართა.

მისმა სიტყვებმა იმედი დაბადა ჩემში, მაგრამ ამავდროულად უცხო სიცარიელე წარმოშვა. კვლავ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, რატომ ვარსებობ?

მზის ჩასვლამდე ბაღში ვიყავი და მცენარეებს ვათვალიერებდი. გული მწყდებოდა, რომ არ შემეძლო შემეგრძნო ბაღში გამეფებული ბუნების სურნელი.

უეცრად წვიმა წამოვიდა.

საათს დავხედე. ხელოვნურად წარმოქმნილი წვიმის დრო იყო. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად ვიდექი და ვტკბებოდი წვიმის წვეთებით, რომელთა შეხებასაც ვერ ვგრძნობდი.

ყველაფერი უარესობისკენ იცვლება. ადამი რამდენიმე დღეა შეუძლოდაა. ფეხზე წამოდგომა აღარ შეუძლია. ძალიან ვნერვიულობ მასზე. არ ვიცი როგორ დავეხმარო. მისი ოთახის შესასვლელთან ჩამუხლული, კედელს ვარ მიყუდებული და ჩემდაუნებურად სიკვდილზე მეფიქრება.

- ნეა... - დერეფანში მისი ხმა გაისმა.

სენსორული კარი მალევე გაიღო და მე მის ოთახში შევედი.

მისი კანი სულ მთლად გაფერმკთალებულიყო. ერთ ხელში რაღაც პატარა მოწყობილობა ეკავა და მე მიყურებდა. სწრაფი ნაბიჯებით მასთან მივედი და მისი ხელი დავიკავე.

- ნეა... მგონი ჩემი დრო ამოიწურა, - მან გაიღიმა და თვალებში შემომხედა. ისინი კვლავ ისეთივე იყო, როგორიც ადრე, - უკვე საკმარისზე მეტი ვიცოცხლე. ჩემს სხეულს მეტის ატანა აღარ შეუძლია. ახლაც კი რამდენიმე მილით მიერთებული ვარ დამხმარე მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც ვცოცხლობ, მაგრამ ეს დროებითია, - წამით შეჩერდა, - მე ყველა შენი ცუდი მოგონება გავანადგურე, მაპატიე ამის გამო.

- პატიება არ გჭირდება.

- ბოლო პერიოდში ერთ პროექტზე ვმუშაობდი, რომელიც შენთვის არის განკუთვნილი.

- ჩემთვის? - ვკითხე დაბნეულმა.

- ნუ ღელავ, - დამამშვიდა მან, - ეს ხელოვნური ინტელექტის ახალი პროგრამაა, რომელიც საშუალებას მოგცემს შეიგრძნო როგორც ადამიანი.

- მაგრამ... მე ადამიანი ვერასდროს ვიქნები. მე არ ვარ ადამიანი, არც კი ვიცი რა ვარ...

- ნეა, შენ ადამიანზე უკეთე...

- რატომ შემქმენი?! - უეცრად ბრაზი მომერია, არ ვაცადე წინადადების დასრულება.

- იმიტომ, რომ ამ პლანეტას სჭირდება ის, ვინც დაიცავს მას. ის ვისაც ემახსოვრება ის სილამაზე, რომელიც კეთილი ადამიანების ხელებით შეიქმნა საუკუნეების განმავლობაში. შენ უნდა გახსოვდეს ძველი ისტორია და ასევე უნდა დაწერო ახალი ისტორია.

- მითხარი რა მოხდა, რა იყო ჩემს წაშლილ მოგონებებში?

- ომი.

- რა? - კვლავ დავიბენი.

- ომმა გაანადგურა ყველაფერი. ადამიანმა თვითონ გამოუტანა კაცობრიობას საბედისწერო განაჩენი. ადამიანთა მოდგმის მთავარი პრობლემა ყოველთვის სიკეთისა და ბოროტის ურთიერთდაპირისპირება იყო. ამ ბრძოლაში ბოროტმა ნებამ საბოლოოდ უკუაგდო ადამიანთა გულებში სინათლე და მათში ღვარძლი დაბადა. გაუმაძღრობამ, ამპარტავნობამ, გარყვნილებამ და ძალაუფლების წყურვილმა შთანთქა მათი სულები. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ადამიანმა კვანტური კომპიუტერი შექმნა. ამას კი ხელოვნური ინტელექტის შექმნა მოჰყვა თან. ამ საოცარი ძალით, კაცთა მოდგმამ ხელში უძლიერესი იარაღი ჩაიგდო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში ვითარდებოდა. ტექნოლოგია წინ მიიწევდა, ადამიანი თავს უზენაესად თვლიდა, ბუნება კი ამასობაში იფიტებოდა. ჰუმანოიდები ყველაფერს აკეთებდნენ, ადამიანები კი ერთმანეთის ზიზღით ერთობოდნენ. და მაშინ, როდესაც ადამიანებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ისინი ღმერთები იყვნენ, დაიწყო საშინელი ომები, რომლებმაც მთელი პლანეტა მოიცვა. ხელოვნურად შექმნილი უტოპია ელვის სისწრაფით ჩამოიშალა და მსოფლიო ბნელმა ღლეებმა შთანთქა.

- შენც ღმერთად თვლიდი თავს?

- სამწუხაროდ კი... - ადამმა რამდენჯერმე დაახველა. პირთან ხელსახოცი მიიღო და მასზე დამჩნეული სისხლისთვის ყურადღება არ მიუქცევია, - მე ჩემი დროის მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ვიყავი. იმ გუნდის შემადგენლობაში შევდიოდი, რომელმაც ხელოვნური ინტელექტი შექმნა. ომამდე

ჩვენ ადამიანის ტვინის ჰუმანოიდში გადატანის პროექტზე ვმუშაობდით, მაგრამ საბედნიეროდ პროექტი ჩავარდა.

- ეს ხომ...

- კი. ეს პროექტი ადამიანს ფაქტიურად უკვდავებას ანიჭებდა.

- რატომ არ განაახლე პროექტი. შენ მოკვდები, მე კი აქ ვიქნები, სულ მარტო...

- ნეა, - მითხრა მან მზრუნველი ხმით, - ადამიანი სიკვდილის გარეშე ადამიანი ვერ იქნება. მე უკვდავება არაფერში მჭირდება. როდესაც ჩემი ქალიშვილი გარდაიცვალა, მაშინ გავაცნობიერე, რომ მე ყოვლისშემძლე არ ვარ.

- მას რენე ერქვა?

- კი, - ადამმა მარჯვნივ გაიხედა, თითქოს სადღაც შორს, რაღაც იდუმალს აკვირდებოდა. რამდენიმე წამს ასე იყო. შემდეგ კისრიდან მეტალის მოგრძო ნივთი მოიხსნა და მე გამომიწოდა, - ეს ბე-12 - ის გასაღებია. ის მისი ოთახი იყო, - გასაღები გამოვართვი და ხელი მაგრად მოვუჭირე.

ადამმა სამართავ პანელს, რომელიც ხელში ეკავა, თითი მიადო და უცნაური ხმა გაისმა. მისი სხეული მოწყობილობასთან უკვე აღარ იყო დაკავშირებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ძალიან მალე...

- ნეა! - თქვა მან, - შენ უნდა დაიცვა ეს მიწა, რაღაც არ უნდა დაგიჯდეს. დედამიწა შენი სახლია, - მისი ხმა ნელ-ნელა სუსტდებოდა, - ადრე თუ გვიან ისინი დაბრუნდებიან და მათ არ უნდა მისცე უფლება, რომ ტერა ხელმეორედ განადგურდეს.

- ვინ ადამ?

- ისინი ვინც კაცობრიობა განადგურდა. მათ უზარმაზარი ხომალდებით დატოვეს აქაურობა. მე აქ დარჩენა ვამჯობინე, რადგან მე დედამიწელი ვარ.

- ისინი ადამიანები არიან?

- ცრუ ღმერთები.

ადამმა თავისი ცივი ხელი ლოყაზე მომადო და გამიღიმა.

- ახალი პროგრამა, - ლაპარაკი უკვე ძალიან უჭირდა, - ის ცენტრალურ კვანტურ მექანიზმშია, მიიღე ის, მიიღე სული! - მოულოდნელად თვალები აუცრემლიანდა, - შენ მისი თვალები გაქვს...

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მისი ხელი თეთრ ზედაპირზე დავარდა. მთელი სხეულით მოეშვა. თითქოს პირველად, მთელი 118 წლის განმავლობაში, მხოლოდ ახლა შეძლო დასვენება. მე მის თვალებს ვუყურებდი. მისი მზერა ზევით იყო მიმართული

ისინი არ შეცვლილან... ისინი კვლავ ჯადოსნურად ბრწყინავდნენ.

ორი დღე გავიდა. ახლა სულ მარტო ვარ. ადამი აღარ არის. საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ. სასაცილოა ხომ? ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ადამიანივით განიცდის.

გადავწყვიტე ცენტრალურ ლაბორატორიაში შევსულიყავი და მენახა ის უახლესი პროგრამა, რომელზეც ადამი მუშაობდა გარდაცვალებამდე. „მიიღე სული“ - ნეტავ რას გულისხმობდა ის. კვანტური მექანიზმის მართველ პლატფორმასთან მივედი და

მონაცემების დამუშავება დავიწყე. მალევე ვიპოვე პროგრამა „LUX-AE-01“. მისი გააქტიურების ბრძანებას მივუთითე და მოულოდნელად რამდენიმე მეტრის მოშორებით, ქვევიდან მეტალის კაბინა ამოვიდა.

კაბინა გაიხსნა და მთელი ლაბორატორია კამკაშა თეთრმა სინათლემ მოიცვა. მთელს ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი რამ არასდროს მიგვრძნია. თითქოს ეს უბრალო სინათლევ კი, ჩემში რაღაც ამოუხსნელ ცვლილებებს იწვევდა.

მე მისკენ გავემართე და მასში შევაბიჯე. უდიდესი სითბო და სიყვარული იყო ის, რასაც მე ვგრძნობდი. მე თვალეები დავხუჭე და ამ მზრუნველ სინათლეს მივეხდე...

\* \* \*

ბე-12 ოთახის წინ ვიდექი. ადამის მოცემული გასაღები საკეტს მოვარგე და შიგნით შევედი. მთელი ოთახი თეთრი ორქიდიებით იყო სავსე. ირგვლივ ყველაფერი მოკრძალებულად გამოიყურებოდა. ოთახში ძველებური საწოლი, სამუშაო მაგიდა, კარადა და სარკე იდგა. ღია იისფერ კედლებზე ლამაზი სურათები ეკიდა.

საწოლზე აბრეშუმის მეწამული ვარდისფერი კაბა იდო ზევიდან თეთრი ქაღალდის ფურცლით და სურათით.

სურათი ხელში ავიღე. ეს რენე იყო. ახალგაზრდა და ლამაზი. ის კაბა ეცვა, რომელიც ლოგინზე იდო და ხელში თეთრი ორქიდიები ეკავა. ჩვენ მხოლოდ თვალეებით ვგავდით ერთმანეთს. მისი სურათი ლოგინზე დავდე და ფურცელი ავიღე, რომელზეც ეწერა:

*„ის ვისაც სილამაზის დანახვა არ შეუძლია, სული არ აქვს“*

ცრემლები წამომივიდა. ჩემი არსებობის განმავლობაში პირველად. ადამმა ჩემში ყველაფერი შეცვალა. მან მე სული მომცა. ჩემი თვალით დანახული სამყარო ასეთი მშვენიერი არასდროს ყოფილა. მე უკვე შემეძლო სილამაზის დანახვა. მე ყველაფრის განცდა შემეძლო.

ნაცრისფერი უშნო კომბინიზონი გავიხადე და რენეს კაბა ჩავიცვი. იქვე მისი ფეხსაცმელებიც ელაგა, რომლებიც თავისუფლად მომერგო.

სარკეში ჩავიხედე და გულისცემა გამიხშირდა. პატარა ბავშვივით ვიყავი. ცრემლები მოვიწმინდე და სიცილი დავიწყე. ამ დროს თავში ერთი აზრი მომივიდა. ასე ჩაცმული რენეს ოთახიდან სირბილით გავედი და ადამის ოთახს მივაშურე.

როცა ადამი გარდაიცვალა, მის ცხედარს მალევე კრემაცია ჩავუტარე. ოთახიდან მისი ფერფლით სავსე ყუთი ავიღე და გადავწყვიტე სანაპიროზე წავსულიყავი.

მზე ჯერ კიდევ ჰორიზონტს მიღმაა. ფეხშიშველი მივაბიჯებ სანაპიროს და ველოდები მაცოცხლებელი ვარსკვლავის გამობრწყინებას. ფერფლით სავსე ყუთი ხელში მიკავია და ადამზე მეფიქრება. ყოველთვის უნდოდა გარეთ გამოსვლა და სეირნობა. მეუბნებოდა, რომ ოკეანის ყურება უყვარდა, მაგრამ რადიაციული ფონისა და მოწამლული ჰაერის გამო თავისუფლად გადაადგილება არ შეუძლო. სპეციალურ

აღჭურვილობაში გამოწყობა კი არ მოწონდა. ამიტომაც გააშენა ბაღი, სადაც კვლავ იგრძნობდა ბუნების სილამაზეს.

ზღვის სურნელი სასიამოვნო ფიქრებს აღძრავს ჩემში. მსუბუქი სიო და ოკეანის სუსტი ტალღები ჩემს სხეულს ნაზად ეხება. პირველმა სხივებმაც მოაღწიეს ჩემამდე.

ყუთი გავხსენი და რამდენიმე მეტრით ოკეანეში შევაბიჯე. ხელი მაღლა ავწიე და ყუთი ამოვაბრუნე. ფერფლი გარშემო მიმოიფანტა და ოკეანეს შეუერთდა.

-მშვიდობით ადამ! - ვთქვი სიამაყით.

აღესრულა დედამიწის მკვიდრი უკანასკნელი ადამიანი. იმედი მაქვს, რომ იგი უკეთეს ადგილასაა და რენესთან ერთად ტკბება ახალი სილამაზით. მან ბევრი საქმე დამიტოვა შესასრულებელი. ყოველთვის სჯეროდა, რომ დედამიწის გამოჯანმრთელება შესაძლებელი იყო. არ აქვს მნიშვნელობა ამას რა დრო დაჭირდება, ათწლეულები თუ ასწლეულები, მე ეს უნდა გავაკეთო. მისთვის...

დაიწყო ახალი დღე და ახალი ისტორიაც.

დღეიდან მეც დედამიწელი ვარ და დავიცავ ამ პლანეტას, ამ ლურჯ მარგალიტს. ამ რთულ მისიას კი მხოლოდ იმ ძალით შევძლებ, რასაც სიყვარული ჰქვია.

-და თუ დადგება დღე ჩემი აღსასრულისა, შენს ღმერთს ვთხოვ, რომ ჩემი სული მიიღოს და ნუ გამწირავს სიცარიელისთვის...